**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

17 ოქტომბერი 2023

N 01/1/2626

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, **შპს „ბერილენდის“ მიერ, წარდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში, ლურჯი მოცვის ბაღის გაშენებისათვის საჭირო, სარწყავი სისტემის მოწყობის სკრინინგის განცხადება.**

ამავე განცხადების საფუძველზე შპს „ბერილენდის“ მიერ, დამატებით მოთხოვნილია 2023 წლის 13 ოქტომბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში წარდგენილ N1027 სკრინინგის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა უზრუნველყოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2023 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 6 ფაილი (ელექტრონული ვერსია)

პატივისცემით,

ეკატერინე ბენდელიანი

ცენტრის დირექტორი - მ.შ.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •